



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 51
03/08/2016

51-06-4-201608031820



განკარგულება N51
3 აგვისტო, 2016წ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების (შეკვეთილი, კაპროვანი) ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შავისღვისპირა პლაჟზე ბაზირების პუნქტების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბერის №386 დადგენილებას თანდართული დანართი N4- ის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს 2016 წლის 1 ივლისის N1618560 მომართვის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების (შეკვეთილი, კაპროვანი) ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ შავისღვისპირა პლაჟზე ზომამცირე გემების (კატარღა, მოტონავი, ჰიდროციკლი, წყლის ველოსიპედი, ნავი) ბაზირების პუნქტებად განისაზღვროს შემდეგი ადგილები: სასტუმრო „მირაჟი“-ს და სასტუმრო „ლაგუნა“-ს წინ მიმდებარე ტერიტორიები.
2. მიღებული განკარგულების თაობაზე ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტს.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქ.№14).
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო